ოქმი:**ო02. 3726043001**

თარიღი:**12/02/2026**

ოქმი №1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2026 წელი, 11 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

12:30-13:00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მ. ჩხიკვიშვილი, ნ. გობრონიძე, ლ. კილაძე, ტ. არუშიძე, პ. კიღურაძე, ნ. ჭანიშვილი, დ. ხურციძე, დ. კიკვაძე, მ. ცქვიტიშვილი, ზ. სალუქვაძე, გ. გაბისიანი, ე. გორდელაძე, ლ. ქვილორია.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი,რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: გენო მორჩილაძე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ, დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, აღნიშნა, რომ ამგვარი გეგმის არსებობა მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისათვის, რადგანაც ახლო წარსულში იყო სტიქიური მოვლენები, ამავე საკითხზე ვრცლად ისაუბრა თანამომხსენებელმა გ. მორჩილაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ აღნიშნული დადგენილება მომზადებულია კომპენტენტურ სამსახურებთან ერთად, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგ ისაუბრა გეგმის კონკრეტულ საკითხებსა და თავებზე, აღნიშნა, რომ წარმოდგენილი გეგმა აკმაყოფილებს თვითმმართველობის ნორმატიული აქტის პროექტისათვის წაყენებულ მოთხოვნებს და იგი შეიძლება წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ, აღნიშნა, რომ პროექტი კანონმდებლობის შესაბამისად იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, განსაზღვრულ ვადებში მუნიციპალიტეტის საკრებულოში შენიშვნები და წინადადებები არ შემოსულა, გეგმა შესწავლილ იქნა კომისიის წევრების მიერ, გეგმაში აღმოჩენილ იქნა რიგი ტექნიკური ხარვეზები, რომლებიც აღმოიფხვრება

შესაბამის სამსახურებთან ერთობლივი მუშაობით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და სხდომის თავმჯდომარის დ. ჭაკნელიძის შენიშვნის გათვალისწინებით მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განხილვა - დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი